ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს
ბატონ ზაალ მამალაძეს

განმარტებითი ბარათი

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობა საკრებულოს სხდომაზე განსახილველად წარმოგიდგენთ პროექტს ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ " ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2015 წლის 29 დეკემბრის N53 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე და განვმარტავთ შემდეგს:

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტი საერთო მოცულობაში უნდა გაიზარდოს 440,3 ათასი ლარით. კერძოდ: ადგილობრივი შემოსავლების გეგმა მ. შ. ქონების გადასახადი (საქართველოს საწარმოთა ქონებაზე გარდა მიწისა) 115,0 ათასი ლარით. არაფინანსური აქტივების კლების გეგმა (არასაცხოვრებელი შენობის გაყიდვა) გაიზრდება 157,8 ათასი ლარით. ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის მოსაკრებელი 167,5 ათასი ლარით. საქართველოს მთავრობის 2016 წლის 4 თებერვლის N 175 განკარგულებაში განხორციელდა ცვლილება და გამოყოფილი თანხა (2552,4 ათ. ლარი) შემცირდა 31,3 ათასი ლარით. განხორციელებული ცვლილებების შედეგად ბიუჯეტის მოცულობა გახდება 14 142,4 ათასი ლარი.

ადგილობრივი შემოსავლების გაზრდის შედეგად მიღებული თანხა 440,3 ათასი ლარი აუცილებლობიდან გამომდინარე უნდა მიიმართოს შემდეგი დანიშნულებით:

- ა(ა)იპ კომუნალური სამსახური ,,სხივი"-ს სუბსიდირებაზე 90,5 ათასი ლარი;
- ა(ა)იპ კულტურის ცენტრის სუბსიდირებაზე 84,0 ათასი ლარი;
- ა(ა)იპ საფეხბურთო კლუბი ,,ბახმარო"-ს სუბსიდირებაზე 10,0 ათასი ლარი;
- ა(ა)იპ სამუზეუმო გაერთიანების სუბსიდირებაზე 35,5 ათასი ლარი;
- ა(ა)იპ სასპორტო სკოლის სუბსიდირებაზე 26,0 ათასი ლარი;
- ა(ა)იპ სპორტის განვითარების ცენტრის სუბსიდირებაზე 48,0 ათასი ლარი;
- ა(ა)იპ კურორტი ,,ბახმარო"-ს სუბსიდირებაზე 24,0 ათასი ლარი;
- ა(ა)იპ საბიბლიოთეკო ცენტრის სუბსიდირებაზე 30,0 ათასი ლარი;
- სოციალური პროგრამების უზრუნველსაყოფად (სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსება - 67,5 ათასი და ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა - 2,5 თასი) 70,0 ათასი ლარი;
- კეთილმოწყობის ღონისძიებებზე (კულტურის სახლის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა) 22,3 ათასი ლარი;

გარდა აღნიშნულისა უნდა შემცირდეს მუნიციპალიტეტის საჯარო მოსამსახურეთა გადამზადების პროგრამის ხარჯი 15,2 ათასი ლარით, აქედან 8,0 ლარი მიიმართოს ა(ა)იპ ,,მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი''-ს სუბსიდირებაზე, ხოლო 7,2 ათასი ლარი ა(ა)იპ ,,სამხატვრო გალერეა''-ს სუბსიდირებაზე), შემცირდეს ა(ა)იპ ს.ს.ს. დაწესებულება ,,მომავალი"-ს სუბსიდირება 17,7 ათასი ლარით: აქედან 6,5 ათასი ლარი მიიმართოს ა(ა)იპ მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის სუბსიდირებაზე, 1,5 ათასი ლარი მიიმართოს ა(ა)იპ ,,სამხატვრო გალერეა''-ს სუბსიდირებაზე, 2,1 ათასი ლარი ა(ა)იპ სამუსიკო სკოლის სუბსიდირებაზე, 0,6 ათასი ლარი ა(ა)იპ სამხატვრო სკოლის სუბსიდირებაზე და 7,0 ათასი ლარი ა(ა)იპ ჯანდაცვის ცენტრის სუბსიდირებაზე. ასევე, შემცირდება ოლიმპიური კომიტეტის დაფინანსება 2,0 ათასი ლარით და აღნიშნული თანხა მიიმართება ა(ა)იპ საფეხბურთო კლუბ ,,ბახმარო"-ს სუბსიდირებაზე.

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 19 თებერვლის N265 განკარგულების საფუძველზე ,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ"- განსახორციელებელი ღონისძიებებიდან ტენდერის შედეგად გამოთავისუფლებული თანხა 27,7 ათასი ლარი მიიმართოს საქართველოს მთავრობის 2016 წლის 4 თებერვლის N175 განკარგულებით ,,საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ" განსახორციელებელი ღონისძიებებისათვის. წარმოგიდგენთ დადგენილების პროექტს თანდართული დანართის მიხედვით.

პატივისცემით,

მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველი მოადგილე

გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი: თამაზ ჯინჭარაძე